

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: მათემატიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: მათემატიკის დოქტორი/ Ph.D. in Mathematics

პროგრამის ხელმძღვანელები:

აკადემიკოსი ხვედრი ინასარიძე (თსუ),
ასოცირებული პროფესორი ომარ ლლონტი (თსუ),
სრული პროფესორი თამაზ თადუმაძე (თსუ),
პროფესორი რაღვ მაიერი (გეტინგენის უნივერსიტეტი),
პროფესორი ანიტა შოებელი (გეტინგენის უნივერსიტეტი),
პროფესორი ანია შტურმი (გეტინგენის უნივერსიტეტი).

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

ა) პროგრამის მიზანი: ცოდნის გაღრმავება და მეცნიერული კვლევების ჩატარება მათემატიკისა და გამოყენებით მათემატიკის სხვადასხვა დარგებში, ალბათობის თეორიასა და სტოქასტურ პროცესებში, მათემატიკურ სტატისტიკაში. პროგრამის სასწავლო კომპონენტი დოქტორანტის კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე ითვალისწინებს, შესაბამისად, სალექციო კურსებს მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის სხვადასხვა დარგებში, ალბათობის თეორიასა და სტოქასტურ პროცესებში, მათემატიკურ სტატისტიკაში.

ბ) პროგრამის შედეგი: აღნიშნულ დარგებში თანამედროვე მიღწევების ცოდნა; ამოცანის მათემატიკურად ჩამოყალიბების უნარი; პრობლემის დასმის და გადაწყვეტის უნარი; ინფორმაციის მოძიების და დამუშავების უნარი.

გ) დასაქმების სფეროები

სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, სახელმწიფო და კერძო სტრუქტურები.

პროგრამაზე მიღების წინაპირობა: მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხი მათემატიკაში, გამოყენებით მათემატიკაში.

სასწავლო კომპონენტი: დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სავალდებულო საუნივერსიტეტო კურსებს არანაკლებ 20 კრედიტისა. დარჩენილ 40 კრედიტს, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დოქტორანტი აგროვებს სხვადასხვა კურსების გავლით (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი)

საგნის დასახელება. სტატუსი. კრედიტების რაოდენობა

1. სწავლების თანამედროვე მეთოდები, სავალდებულო, 5 კრედიტი
2. დოქტორანტის I კოლოკვიუმი, სავალდებულო, 5 კრედიტი
3. დოქტორანტის II კოლოკვიუმი, სავალდებულო, 5 კრედიტი
4. პროფესორის ასისტენტობა, სავალდებულო, 5 კრედიტი

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ ტექნიკური ბაზა: სამუშაო ოთახი თბილისის სახელმწიფო და გეტინგენის უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ხუთი დოქტორანტის მიღება.